წერილის ნომერი: **30-302619736**
თარიღი: **16/07/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, წარმოგიდგენთ „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

როგორც მოგეხსენებათ, 2025 წლის 30 დეკემბერს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება“. რაც დამტკიცდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით.

2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმების აქტით ცვლილება შევიდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებაში, კერძოდ: ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რეაბილიტაციასთან დაკავშირებული თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა).“

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ზ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირების, ელექტროენერგიის

მიწოდებისა და წყალმომარაგების მიზნით, ახალ აბონენტად რეგისტრაციასთან, ხოლო აბონენტებად უკვე რეგისტრირებული აღნიშნული დაწესებულებების შემთხვევაში, მითითებულ კომუნალურ მომსახურებებზე, სიმძლავრეების გაზრდის მიზნით დაკავშირებულები საჭიროებების უზრუნველყოფა, ასევე საწვავის, ბრიკეტისა და შეშის შესყიდვა.“

გ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სარგებლობაში არსებული ტერიტორიის/ეზოს კეთილმოწყობა, მათ შორის: ეზოების რეაბილიტაცია, ღობის მოწყობა, დამხმარე შენობა-ნაგებობების განთავსება და სხვა შესაბამისი სამუშაოები, თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა)“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებულ, დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

ანალოგიური წესი ვრცელდება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევებზეც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი პროექტი და დაგვიმტკიცოთ.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა განსაზღვრულია დელეგირების შესახებ კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

განკარგულების პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2026 წლის ივლისი
ქ. ლანჩხუთი

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლისა 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. დამტკიცდეს „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2026 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმების აქტი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

შეთანხმება N1

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი **16 ივლისი, 2026წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო (შემდგომში - „სამინისტრო“), წარმოდგენილი მინისტრის - კახაბერ გულედანის სახით და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - „მუნიციპალიტეტი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე სარიშვილის სახით, ერთად წოდებულნი როგორც მხარეები, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 10 ივლისის N 1476 განკარგულებისა და მხარეებს შორის 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება““) მე-5 მუხლის 5.3. პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით და ვდებთ შეთანხმებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტის:**

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რეაბილიტაციასთან დაკავშირებული თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა).“

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირების, ელექტროენერგიის მიწოდებისა და წყალმომარაგების მიზნით, ახალ აბონენტად რეგისტრაციასთან, ხოლო აბონენტებად უკვე რეგისტრირებული აღნიშნული დაწესებულებების შემთხვევაში, მითითებულ კომუნალურ მომსახურებებზე, სიმძლავრეების გაზრდის მიზნით დაკავშირებულები საჭიროებების უზრუნველყოფა, ასევე საწვავის, ბრიკეტისა და შეშის შესყიდვა.“

გ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სარგებლობაში არსებული ტერიტორიის/ეზოს კეთილმოწყობა, მათ შორის: ეზოების რეაბილიტაცია, ღობის მოწყობა,

დამხმარე შენობა-ნაგებობების განთავსება და სხვა შესაბამისი სამუშაოები, თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა)“

2. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.
3. ხელშეკრულების სხვა პირობები/დანართები, რომლებიც არ იცვლება შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებასა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის წარმოქმნის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას
4. შეთანხმებიდან გამომდინარე, ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
6. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 3 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

7. **მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები**

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო ს/კ: 204755292	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ს/ნ: 233730139
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის N10	მისამართი: ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37
კახაბერ გულედანი	**ალექსანდრე სარიშვილი**